## საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

ქ.თბილისი 5 მარტი, 2020 წელი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის 23-ე, 25-ე და 26-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა, ერთხმად

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

1. სალომე ბოლქვაძე;
2. რუსუდან ტატუაშვილი;
3. გიორგი მოდებაძე;
4. მერაბ ბულაშვილი;
5. აკაკი ღურწკაია;
6. ლიანა ბაკურაძე;
7. თამარ წიქარიშვილი;
8. ლელა ჭანია;
9. თორნიკე ქოჩქიანი;
10. სალომე მემარნიშვილი;
11. ქრისტინე კოპალიანი;
12. ვალენტინა კიკნაძე;
13. ნინო გალუსტაშვილი;

**ილონა თოდუა**

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

## საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

ქ.თბილისი

5 მარტი, 2020 წელი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-14 და 23-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა, ერთხმად

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი „საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების“ თაობაზე *(დანართი №1)* მიღებულ იქნეს ცნობად და დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენციას.

**ილონა თოდუა**

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

დანართი №1

პროექტი

# საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები

## პრეამბულა

ჩვენ, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეები,

ვაცნობიერებთ რა, რომ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები ფუნქციონირებენ ურთიერთშეკავების და გაწონასწორების რეჟიმში, ისე, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ამგვარი საზოგადოების უმთავრეს ქვაკუთხედს და გარანტს წარმოადგენს;

ვაცნობიერებთ რა, რომ მხოლოდ სამოსამართლო ფიცის ერთგული, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი, წესიერი, თანასწორობის პრინციპის დაცვით მოქმედი, კომპეტენტური და გულმოდგინე მოსამართლეები უზრუნველყოფენ სამართლიანი სასამართლოს არსებობას;

ვაღიარებთ რა, რომ როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების, ისე - სხვა, არასამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლის სათანადო ეთიკური ქცევა სასამართლოს ავტორიტეტის ამაღლების და სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფის გარანტს წარმოადგენს;

მიზნად ვისახავთ რა, რომ სამოსამართლო ეთიკა ეყრდნობოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და სამოსამართლო ეთიკის სფეროში დამკვიდრებულ საერთაშორისო სტანდარტებს, განსაკუთრებით - „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს" და ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნას,

ვადგენთ წინამდებარე წესებს, რომელთა დაცვა თითოეული მოსამართლის პირადი მოვალეობაა; ამასთან, ეს წესები არ წარმოადგენს მოსამართლეთა ქცევის ამომწურავ სახელმძღვანელოს და მისი რომელიმე ნორმა, მოსამართლის ქცევის სათანადოობის შეფასებისას, გამოიყენება არა ცალკე მდგომი მნიშვნელობით, არამედ - ყველა სხვა ნორმასთან ერთობლიობაში;

დაუშვებელია ამ წესების ნორმების ისეთი განმარტება, რაც ხელს შეუშლის მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ფუნდამენტურ დამოუკიდებლობას;

ამ წესების დარღვევა გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ, დისციპლინურ, სამოქალაქოსამართლებრივ თუ სხვა სახის პასუხისმგებლობას მხოლოდ შესაბამისი, სპეციალური საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

## ნაწილი I. დამოუკიდებლობა

სასამართლო დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის და სამართლიანი პროცესის ფუნდამენტური გარანტიის წინაპირობა.

### მუხლი 1

მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად.

მუხლი 2

მოსამართლე არის სამოსამართლო ფიცის ერთგული, კანონიერების და მის წინაშე ყველას თანასწორობის გარანტი. პოლიტიკური, სოციალური, საზოგადოებრივი ან სხვაგვარი ურთიერთობა, მხარის სტატუსი, მედიის ზეწოლა, კრიტიკის (მათ შორის - უსაფუძვლო კრიტიკის), ფიზიკური ზიანის ან დევნის შიში მოსამართლის აზრზე გავლენას არ უნდა ახდენდეს. მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს შინაგანი რწმენის საფუძველზე, გამბედავად და გულისხმიერად.

მუხლი 3

მოსამართლე უნდა შთააგონებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

მუხლი 4

მოსამართლე არ უნდა იყოს დამოკიდებული თავის კოლეგა მოსამართლეებზე ისეთი გადაწყვეტილების გამოტანისას, რომელიც მან დამოუკიდებლად უნდა გამოიტანოს. დაშვებულია მოსამართლეთა შორის აზრთა გაცვლა მართლმსაჯულების განხორციელებისას წამოჭრილ სამართლებრივ კაზუსთან დაკავშირებით.

მუხლი 5

მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს სხვა მოსამართლეებთან ისეთი კომუნიკაციისგან, რომლის მიზანია ამ მოსამართლეების მიერ განსახილველი საქმის შედეგზე გავლენის მოხდენა.

## ნაწილი II. მიუკერძოებლობა

მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად. ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც, რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება.

მუხლი 6

მოსამართლემ მართლმსაჯულება უნდა განახორციელოს რომელიმე მხარისადმი მიკერძოების, ფავორიტიზმის ან წინასწარი განწყობის გამოვლენის გარეშე. იგი უნდა მოერიდოს ისეთ ქცევას, რომელიც პროცესის მონაწილეებს ან საზოგადოებას შეუქმნის რწმენას, რომ მან გადაწყვეტილება მიიღო მტკიცებულებების წარდგენამდე და მხარეთა არგუმენტების მოსმენამდე.

მუხლი 7

1. მოსამართლეს ეკრძალება პროცესის მხარეებთან ან საქმით დაინტერესებულ პირებთან ცალ-ცალკე (ex parte) შეხვედრა ან ნებისმიერი სხვა ფორმით კომუნიკაცია სასამართლოში ან მის გარეთ, საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

2. მოსამართლეს ეკრძალება მის წარმოებაში არსებული საქმის შედეგზე წინასწარ მითითება, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული (მაგ.: მორიგების მიზნით დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე მითითება და სხვ.) განმარტებების მიცემისა.

3. მოსამართლე ვალდებულია - კანონით აკრძალული ფორმით კომუნიკაციის მცდელობის თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს ან მის მიერ უფლებამოსილ მოსამართლეს, ასევე - შეატყობინოს კომუნიკაციის ფაქტისა და შინაარსის შესახებ სხვა მხარეებს და ადვოკატებს, როგორც კი ეს პრაქტიკულად შესაძლებელი გახდება.

**მუხლი 8**

1. მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე, როცა არსებობს აცილების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი.

2. მოსამართლემ უნდა იმოქმედოს იმგვარად, როცა ეს შესაძლებელია, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს საქმის აცილების აუცილებლობა.

**მუხლი 9**

მოსამართლე უკანონოდ არ უნდა ჩაერიოს სასამართლოში საქმეთა განაწილებაში.

**მუხლი 10**

1. მოსამართლემ თავისი უფლება გაერთიანების, გამოხატვის, შეკრების, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებაზე ყოველთვის უნდა განახორციელოს იმგვარად, რომ ხელშეუხებლად დაიცვას მოსამართლის ღირსება, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

2. მოსამართლემ აზრის გამოთქმის უფლებით სარგებლობისას ყურადღება უნდა მიაქციოს, თუ სად და რა ვითარებაში აკეთებს განცხადებას, რათა საზოგადოებამ არ აღიქვას იგი ერთი პოლიტიკური პარტიის ან კონკრეტულ ინტერესთა ჯგუფის მხარდამჭერად, ან არ წარმოშვას საფუძვლიანი წინაპირობა იმ აზრის ჩამოსაყალიბებლად, რომ ეს განცხადება ხელს შეუშლის საქმეზე მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებას.

**მუხლი 11**

მოსამართლემ საჯაროდ არ უნდა გამოხატოს აზრი სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე. ამასთან, დასაშვებია საზოგადოების ინფორმირების მიზნით საქმესთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და ტექნიკურ საკითხებზე განმარტებების გაკეთება.

**მუხლი 12**

მოსამართლეს ეკრძალება გაწევრიანება პოლიტიკურ გაერთიანებაში, პოლიტიკური საქმიანობა, საარჩევნო სუბიექტის საჯარო მხარდაჭერა ნებისმიერი ფორმით ან პოლიტიკური შეხედულების საჯაროდ გამოხატვა, პოლიტიკური პროპაგანდა როგორც სასამართლო დარბაზში, ისე მის გარეთ, მონაწილეობა საარჩევნო კამპანიებში, დემონსტრაციებში, ფონდების მოძიებაში ან სხვა მსგავსი ხასიათის ინიციატივებში საჯაროდ ან კერძოდ. აკრძალვა არ ვრცელდება იმ საჯარო (მათ შორის - პოლიტიკურ) პროცესში ჩაბმასა და აზრის გამოთქმაზე, რომელიც უკავშირდება სასამართლოს ფუნქციონირების შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნას.

## ნაწილი III. კეთილსინდისიერება (შეუვალობა)

კეთილსინდისიერებას (შეუვალობას) აქვს არსებითი მნიშვნელობა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისათვის. მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი საქციელი ინფორმირებული, ობიექტური და საღად მოაზროვნე დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო.

**მუხლი 13**

მოსამართლის ყოველი ქმედება (საქციელი) უნდა განამტკიცებდეს ადამიანების რწმენას სასამართლო ხელისუფლების კეთილსინდისიერებისადმი. მან არ უნდა გამოიყენოს სასამართლო გადაწყვეტილება ან სხდომა პოლიტიკური, იდეოლოგიური, რელიგიური ან სხვა იმგვარი პირადი მოსაზრებების გამოსახატად, რომლებიც აშკარად არ უკავშირდება საქმის გადაწყვეტის ამოცანებს.

**მუხლი 14**

მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარი ისეთი ქმედებისგან, რომელიც წარმოადგენს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, $5^2$, მე-7, მე-8, მე-10, მე-11, მე-13, $13^4$, $13^5$ და $20^4$ მუხლების დარღვევას.

**მუხლი 15**

მოსამართლემ ხელი არ უნდა შეუშალოს დისციპლინური წარმოების ეფექტურად წარმართვას.

## ნაწილი IV. წესიერება (შესაბამისობა)

წესიერება და წესიერების გამოჩენა არის არსებითი მოსამართლის ყოველგვარ საქმიანობაში.

**მუხლი 16**

მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებლად. მოსამართლის პირადი, საზოგადოებრივი და პროფესიული ქცევა კარგად ინფორმირებული, ობიექტური, კეთილსინდისიერი დამკვირვებლის მიერ უნდა აღიქმებოდეს ღირსეულ, უმწიკვლო ქცევად.

**მუხლი 17**

მოსამართლე უნდა მოერიდოს დამამცირებელი აზრის საჯაროდ გამოხატვას სხვა მოსამართლის პროფესიონალიზმსა თუ პირად თვისებებზე. მოსამართლის კრიტიკას სამოსამართლო აზრის გამოთქმისას სხვა მოსამართლის გადაწყვეტილების შესახებ უნდა ჰქონდეს ისეთი ფორმა, რომელიც არ დააზიანებს საზოგადოებრივ ნდობას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. მოსამართლეს უფლება აქვს - სასწავლო ან სამეცნიერო ხასიათის კომენტარი გააკეთოს სხვა მოსამართლეების გადაწყვეტილებების შესახებ.

**მუხლი 18**

იურიდიული პროფესიის ცალკეულ წარმომადგენლებთან პირადი ურთიერთობისას, რომლებიც რეგულარულად გამოდიან მოსამართლის წინაშე სასამართლოში, მოსამართლე უნდა მოერიდოს ისეთ სიტუაციებს, რომლებმაც გონივრულია შექმნან მიკერძოების ან უპირატესობის მინიჭების ეჭვი.

**მუხლი 19**

მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს პირადი და ინტენსიური (მეგობრული, ოჯახური) ურთიერთობის დამყარებისგან სასამართლოში საქმის წარმოების მონაწილესთან, რომლის საქმესაც განიხილავს ეს მოსამართლე, რომელსაც ასეთი ურთიერთობა გამოიწვევს მოსამართლის მიკერძოებას და/ან უპირატესობის მინიჭებას მონაწილისთვის, თუ მოსამართლისთვის ცნობილია მხარის ვინაობა.

**მუხლი 20**

მოსამართლემ მის მიერ განსახილველ საქმეებთან დაკავშირებით უნდა გამოარკვიოს საკუთარი ფინანსური ინტერესების (როგორც პირადის, ისე მინდობილის) არსებობა, აგრეთვე - მიიღოს გონივრული ზომები, რათა გამოარკვიოს მისი ოჯახის წევრების ფინანსური ინტერესების არსებობა.

### მუხლი 21

1. მოსამართლემ უნდა დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გაამჟღავნოს ან გამოიყენოს იგი სხვა ისეთი მიზნით, რაც არ უკავშირდება სამოსამართლო ფუნქციების შესრულებას.

2. მოსამართლეს ეკრძალება სასამართლოს თათბირის საიდუმლოების გამჟღავნება.

### მუხლი 22

მოსამართლემ არ უნდა გამოიყენოს და დაამციროს სასამართლოს პრესტიჟი თავისი პირადი, მისი ოჯახის წევრის ან ნებისმიერი სხვა პირის პირადი ინტერესების სასარგებლოდ. მან არ უნდა დაუშვას, რომ მისმა ოჯახურმა, სოციალურმა თუ სხვაგვარმა ურთიერთობამ არასათანადო გავლენა მოახდინოს მის, როგორც მოსამართლის ქცევაზე ან მის, როგორც მოსამართლის გადაწყვეტილებაზე. მოსამართლემ არც თვითონ უნდა დატოვოს შთაბეჭდილება და არც სხვებს უნდა მისცეს საშუალება - დატოვონ შთაბეჭდილება, რომ ვინმეს შეუძლია არასათანადო გავლენა იქონიოს მოსამართლეზე მის მიერ სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებისას.

### მუხლი 23

მოსამართლემ არ უნდა მიიღოს საჩუქარი ან სხვა სარგებელი, თუ:

ა) მისი მიღება აკრძალულია კანონით;

ბ) მას იღებს იმგვარი მოქმედების/უმოქმედობისათვის, რაც ისედაც ევალებოდა საკუთარი სამოსამართლო მოვალეობების განხორციელების ფარგლებში.

### მუხლი 24

სოციალური მედიის გამოყენებისას მოსამართლე უნდა დაემორჩილოს ამ წესების ყველა მოთხოვნას.

## ნაწილი V. თანასწორობა

სასამართლოს წინაშე ყველას მიმართ თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას.

### მუხლი 25

მოსამართლე ვალდებულია - უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა. დაუშვებელია, რომ პროცესის მონაწილის რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, წოდებრივი, თანამდებობრივი, ქონებრივი, რელიგიური, სქესობრივი კუთვნილება ან სხვა გარემოება გავლენას ახდენდნენ მოსამართლის უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებაზე ან სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გარემოება წარმოადგენს საქმის საგანს.

### მუხლი 26.

1. სამოსამართლო ფუნქციების შესრულებისას მოსამართლემ არც სიტყვიერად და არც ქმედებით არ უნდა გამოხატოს მიკერძოება და წინასწარ შექმნილი აზრი ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ არასათანადო საფუძვლით.

2. მოსამართლე არ ჩაებმება სექსუალურ შევიწროებაში.

## ნაწილი VI. კომპეტენტურობა, გულისხმიერება და სამართლიანობა

კომპენტენტურობა, გულისხმიერება და სამართლიანობა სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად განხორციელების წინაპირობებია.

**მუხლი 27**

მოსამართლემ მაღალ დონეზე უნდა შეინარჩუნოს პროფესიული კომპეტენცია. მან თავისი მოვალეობები გულისხმიერად და სამართლიანად უნდა შეასრულოს.

**მუხლი 28**

მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს კოლეგებს, პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, ხოლო წესრიგის დამრღვევის მიმართ გამოიყენოს კანონით განსაზღვრული სანქცია.

**მუხლი 29**

მოსამართლე პატივს უნდა სცემდეს სასამართლოს პერსონალს, აგრეთვე - თვალყურს ადევნებდეს, რომ სასამართლოს მოხელე იცავდეს პროფესიული ეთიკის ნორმებს, კორექტულად მოქმედებდეს, არ იჩენდეს რაიმე მიკერძოებას ან არ ავლენდეს განსხვავებულ დამოკიდებულებას მხარეების მიმართ დაუშვებელი ნიშნის (რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური შეხედულება და სხვ.) მიხედვით.

**მუხლი 30**

მოსამართლე ვალდებულია - სათანადო რეაგირება მოახდინოს კოლეგის, სასამართლოს მოხელის, მხარის ან მისი წარმომადგენლის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევაზე, თუ იგი ამ ფაქტის თვითმხილველია.

**მუხლი 31**

სამოსამართლო ფუნქციების სათანადო კომპეტენტურობით განხორციელების მიზნით, მოსამართლე ვალდებულია - პერიოდულად იმაღლებდეს პროფესიული ცოდნის დონეს და სისტემატურად ეცნობოდეს მის სფეროში მიმდინარე სიახლეებს. იგი აგრეთვე ხელს უნდა უწყობდეს სასამართლოს მოხელეთა პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის ამაღლებას, აძლევდეს მათ საჭირო რჩევა-დარიგებას.

**მუხლი 32**

სპიკერი მოსამართლე, მედიის მოთხოვნის ან ამ მოთხოვნის გარეშე, გასცემს ინფორმაციას სასამართლოს საქმიანობაზე, აგრეთვე, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ახდენს სასამართლო გადაწყვეტილებათა გაშუქებას.

**მუხლი 33**

მოსამართლემ თავის განცხადებაში უნდა გამოიჩინოს სათანადო კორექტულობა, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია. ამასთან, მოსამართლემ სასამართლო მოხელესაც უნდა ურჩიოს თავშეკავება ამგვარი განცხადების გაკეთებისაგან.

**მუხლი 34**

მოსამართლემ არ უნდა განახორციელოს ქმედება, რომელიც შეუთავსებელია სამოსამართლო ფუნქციების გულისხმიერად განხორციელებასთან.

**მუხლი 35**

მოსამართლე უნდა მოერიდოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევას დაუსაბუთებელი მიზეზით.

## ნაწილი VII. არასამოსამართლო საქმიანობა

იმყოფება რა საზოგადოების მუდმივი დაკვირვების ქვეშ, მოსამართლემ უნდა აიტანოს ყველა ის პერსონალური შეზღუდვა, რომელიც შესაძლებელია ჩვეულებრივ მოქალაქეს ძნელად მოეჩვენოს და ეს უნდა გააკეთოს თავისუფლად და ნებაყოფლობით.

### მუხლი 36

მოსამართლის საქმიანობა, რომელიც არ უკავშირდება სამსახურებრივ მოვალეობას, დასაშვებია, თუ იგი არ ეწინააღმდეგება მოსამართლისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპებს, არ უქმნის საფრთხეს სასამართლოს ავტორიტეტს, არ ქმნის ეჭვის საფუძველს სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.

### მუხლი 37

კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, მოსამართლე არ შეიძლება ეწეოდეს რაიმე ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან შემოქმედებითი საქმიანობისა, თუ იგი ხელს არ უშლის სამოსამართლო უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელებას.

### მუხლი 38

1. მოსამართლემ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს გარიგებაში, რომელიც ლახავს სასამართლოს ღირსებას ან სხვაგვარად უშლის ხელს სამოსამართლო უფლებამოსილებების განხორციელებას.

2. მოსამართლე არ უნდა ჩაებას ფინანსურ და ბიზნეს გარიგებებში, რომელიც გულისხმობს მოსამართლის პოზიციის (თანამდებობრივი პრესტიჟის) ბოროტად გამოყენებას, ჩააბამს მას ხშირ ტრანზაქციებში ან განგრძობით ბიზნეს ურთიერთობებში ადვოკატებთან ან სხვა პირებთან, რომლებსაც შეიძლება მოუხდეთ იმ სასამართლოში საქმიანობა, რომელსაც წარმოადგენს კონკრეტული მოსამართლე.

3. მოსამართლემ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სერიოზული ფინანსური სირთულეების არსებობის შემთხვევაში, კერძოდ - თუ ამასთან დაკავშირებით დაწყებულია ან შეიძლება დაიწყოს სამართლებრივი წარმოება.

### მუხლი 39

მოსამართლე არ შეიძლება გახდეს ისეთი გაერთიანების წევრი, რომელიც მისი წევრებისაგან ერთგულების ფიცის დადებას (ლოიალობის დადასტურებას) მოითხოვს, ან თავისი საიდუმლო ხასიათიდან გამომდინარე მისი წევრების მონაწილეობასთან დაკავშირებით არ უზრუნველყოფს სრულ გამჭვირვალობას, ანდა ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის რეპუტაციას, ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს.

### მუხლი 40

მოსამართლეს ეკრძალება გაფიცვა. მას არა აქვს უფლება, რაიმე მოტივით, კოლექტიურად თუ ინდივიდუალურად, უარი თქვას ან სხვას მოუწოდოს სამსახურებრივი და პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობისაკენ.

**საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის**
**ადმინისტრაციული კომიტეტი**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3

ქ.თბილისი 5 მარტი, 2020 წელი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-8, 23-ე, $26^6$ მუხლებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა, ერთხმად

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოწვეულ იქნეს საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენცია 2020 წლის 14 მარტს (რეგისტრაცია 10:00 საათზე, კონფერენციის გახსნა 11:00 საათზე).

2. საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენციის ჩატარების ადგილად განისაზღვროს იუსტიციის უმაღლესი სკოლა (მის: ქ.თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №19).

3. დამტკიცდეს საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენციის დღის წესრიგი თანდართული სახით *(იხ. დანართი №2).*

4. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, უფლებამოსილების ფარგლებში დაევალოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური და ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

**ილონა თოდუა**

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

დანართი №2

## საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენცია

2020 წელი

**14 მარტი, 2020 წელი**

**იუსტიციის უმაღლესი სკოლა**

(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №19)

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი

10:00 - 11:00 სთ. - მოსამართლეთა რეგისტრაცია

1. 11:00 - 11:15 სთ.

**სასამართლო სისტემის საქმიანობის ანგარიში** *(საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო).*

2. 11:15 - 11:30 სთ.

**„საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების“ პროექტის დამტკიცების თაობაზე** *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით).*

3. 11:30 – 11:45 სთ.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება, კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს** *(საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ 1 (ერთი) წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელსაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უფლება აქვს საბჭოს წევრის თანამდებობასთან ერთად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა).*

4. 11:45 – 12:00 სთ.

**ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 მოსამართლის შემადგენლობით** *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით).*

5. 12:00 - 13:00 სთ.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) მოსამართლე წევრის არჩევა.** I ტური *(ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით).*

6. 13:00 – 14:00 სთ - სადილი

7.14:00 – 15:00 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) მოსამართლე წევრის არჩევა. II ტური *(საჭიროების შემთხვევაში, ფარული კენჭისყრით, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები).*

შენიშვნა: თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ 1 (ერთი) წევრის თანამდებობაზე, რომელსაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უფლება აქვს საბჭოს წევრს თანამდებობასთან ერთად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, არ იქნება დასახელებული კანდიდატად, ან თუ კენჭისყრის შედეგად საჭირო რაოდენობის ხმები ვერ მიიღო რომელიმე კანდიდატმა, ვაკანტურ თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს მოსამართლე. რომელსაც არ უკავია ასეთი თანამდებობა. შესაბამისად ტარდება განმეორებითი არჩევნები: I ტური - ფარული კენჭისყრით, სდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით. II ტური - საჭიროების შემთხვევში, ფარული კენჭისყრით, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №4

ქ.თბილისი 5 მარტი, 2020 წელი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის 23-ე და $26^1$ მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა, ერთხმად

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1.დამტკიცდეს:

ა) საარჩევნო ბიულეტენის ნიმუში *(იხ. დანართი №3)*;

ბ) ადგილზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობის ოქმის ნიმუში *(იხ. დანართი №4)*;

გ) დარჩენილი ბიულეტენის (ბიულეტენების) განადგურების ოქმის ნიმუში იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ მიიღო (მიიღეს) მონაწილეობა საარჩევნო პროცესში *(იხ. დანართი №5)*;

დ) გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენის აღრიცხვის და ახალი ბიულეტენის გაცემის ოქმის ნიმუში *(იხ. დანართი №6)*;

ე) არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ნიმუში *(იხ. დანართი №7)*;

ვ) ხელახალი კენჭისყრის საარჩევნო ბიულეტენის ნიმუში *(იხ. დანართი №8)*;

ზ) ადგილზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობის ოქმის ნიმუში ხელახალი კენჭისყრის შემთხვევაში *(იხ. დანართი №9)*;

თ) დარჩენილი ბიულეტენის (ბიულეტენების) განადგურების ოქმის ნიმუში იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ მიიღო (მიიღეს) მონაწილეობა საარჩევნო პროცესში ხელახალი კენჭისყრის შემთხვევაში *(იხ. დანართი №10)*;

ი) გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენის აღრიცხვისა და ახალი ბიულეტენის გაცემის ოქმის ნიმუში ხელახალი კენჭისყრის შემთხვევაში *(იხ. დანართი №11)*;

კ) ხელახალი არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ნიმუში *(იხ. დანართი №12)*;

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

**ილონა თოდუა**

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

დანართი №3

# საარჩევნო ბიულეტენი

## საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენცია

## 14 მარტი, 2020 წელი

### საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) მოსამართლე წევრის არჩევა

*ყურადღება!*

**შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი არაუმეტეს 1 (ერთი) კანდიდატის რიგითი ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.**

1. სახელი, გვარი
2. სახელი, გვარი
3. სახელი, გვარი
4. სახელი, გვარი
5. სახელი, გვარი

რეგისტრატორის ხელმოწერა ------------------------

დანართი №4

# საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენცია

2020 წელი

## ადგილზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობის

ოქმი №_____

14 მარტი, 2020 წელი

საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენციაზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) წევრის არჩევნებზე რეგისტრაცია გაიარა ------------------------------ მოსამართლემ, დაიბეჭდა ------------------------------------ --------------- ბიულეტენი, რაც დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა ხელმოწერით.

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

შედგენის დრო: ____საათი____ წუთი

დანართი №5

# საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენცია

2020 წელი

## დარჩენილი ბიულეტენის (ბიულეტენების) განადგურების ოქმი №____

14 მარტი, 2020 წელი

### იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ მიიღო (მიიღეს) მონაწილეობა საარჩევნო პროცესში

საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენციაზე მოსამართლე (მოსამართლეებმა) ------------------------------------------------------------------------ არ მიიღეს მონაწილეობა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) წევრის არჩევნებში, შესაბამისად, დარჩენილი ------------------------------------------------ ბიულეტენი (ბიულეტენები) განადგურდა, რაც დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა ხელმოწერით.

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

შედგენის დრო: ____საათი____ წუთი

დანართი №6

## საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენცია

2020 წელი

### გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენის აღრიცხვისა და ახალი ბიულეტენის გაცემის

ოქმი №____

14 მარტი, 2020 წელი

საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენციაზე მოსამართლე (გვარი, სახელი) ------------------------------------------------------------------------
გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, რომელიც განკუთვნილი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) წევრის არჩევნებისათვის, რაც ეცნობა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს. გაფუჭებული ბიულეტენის ნაცვლად გაიცა ახალი ბიულეტენი. აღნიშნული დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3-ისა და მოსამართლის ხელმოწერით.

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ----------------------------

შედგენის დრო: ____საათი____ წუთი

დანართი №7

# საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენცია

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) წევრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი №____

14 მარტი, 2020 წელი

2020 წელი

1. დაბეჭდილი ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
2. გაცემული ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
3. დარჩენილი/გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
4. საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
5. ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
6. ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___

### ხმათა რაოდენობა

1. გვარი, სახელი ___ ___ ___
2. გვარი, სახელი ___ ___ ___
3. გვარი, სახელი ___ ___ ___
4. გვარი, სახელი ___ ___ ___
5. გვარი, სახელი ___ ___ ___

- სახელი, გვარი

ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ------------------------------

- სახელი, გვარი

ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი ------------------------------

- სახელი, გვარი

ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

შედგენის დრო: ____საათი____ წუთი

დანართი №8

ხელახალი კენჭისყრა

# საარჩევნო ბიულეტენი

## საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენცია

14 მარტი, 2020 წელი

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) მოსამართლე წევრის არჩევა**

***ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!***

**შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი არაუმეტეს 1 (ერთი) კანდიდატის რიგითი ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.**

1. სახელი, გვარი
2. სახელი, გვარი
3. სახელი, გვარი
4. სახელი, გვარი
5. სახელი, გვარი

რეგისტრატორის ხელმოწერა ---------------------

დანართი №9

## ხელახალი კენჭისყრა

# საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენცია

2020 წელი

ადგილზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების
საერთო რაოდენობის

ოქმი №_____

14 მარტი, 2020 წელი

საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენციაზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) წევრის არჩევნებზე რეგისტრაცია გაიარა ------------------------------ მოსამართლემ, დაიბეჭდა -------------------------------------- --------------- ბიულეტენი, რაც დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა ხელმოწერით.

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

შედგენის დრო: ____საათი____ წუთი

დანართი №10

ხელახალი კენჭისყრა

## საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენცია

დარჩენილი ბიულეტენის (ბიულეტენების) განადგურების
ოქმი №____

14 მარტი, 2020 წელი

იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ მიიღო (მიიღეს) მონაწილეობა საარჩევნო პროცესში

საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენციაზე მოსამართლე (მოსამართლეებმა) ----------------------------------------------------------------------------
არ მიიღეს მონაწილეობა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) წევრის არჩევნებში, შესაბამისად, დარჩენილი ---------------------------------------------------
ბიულეტენი (ბიულეტენები) განადგურდა, რაც დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა ხელმოწერით.

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე --------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი ---------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი --------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ----------------------------

შედგენის დრო: ____საათი____ წუთი

დანართი №11



## საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენცია

2020 წელი

### გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენის აღრიცხვისა და ახალი ბიულეტენის გაცემის

ოქმი №____

14 მარტი, 2020 წელი

საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენციაზე მოსამართლე (გვარი, სახელი) ---------------------------------------------------------------------------
გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, რომელიც განკუთვნილი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) წევრის არჩევნებისათვის, რაც ეცნობა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს. გაფუჭებული ბიულეტენის ნაცვლად გაიცა ახალი ბიულეტენი. აღნიშნული დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3-ისა და მოსამართლის ხელმოწერით.

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე --------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი --------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი --------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი --------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ----------------------------

შედგენის დრო: ____საათი____ წუთი

დანართი №12

ხელახალი კენჭისყრა

## საქართველოს მოსამართლეთა XXVII რიგგარეშე კონფერენცია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 (ერთი) წევრის
არჩევნების შედეგების შემაჯამებელი
ოქმი №____

14 მარტი, 2020 წელი

2020 წელი

1. დაბეჭდილი ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
2. გაცემული ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
3. დარჩენილი/გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
4. საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
5. ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
6. ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵

ხმათა რაოდენობა

1. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵
2. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵
3. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵
4. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵
5. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵

- სახელი, გვარი

ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ------------------------------

- სახელი, გვარი

ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი ------------------------------

- სახელი, გვარი

ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

შედგენის დრო: ____საათი____ წუთი

## საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №5

ქ.თბილისი 5 მარტი, 2020 წელი

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 36-ე მუხლის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-8, 23-ე და 25-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა, ერთხმად

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს მოსამართლის (თავმჯდომარის) თანაშემწე - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი თორნიკე ქოჩქიანი.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

**ილონა თოდუა**

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №6

ქ.თბილისი 22 ოქტომბერი, 2020 წელი

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-9, 22-ე და 23-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის ილონა თოდუას საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის გამო, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 2020 წლის 22 ოქტომბრის სხდომის თავმჯდომარეობის (სხდომის წარმართვის) საგანგებო უფლებამოსილება მიენიჭოს ადმინისტრაციული კომიტეტის წევრს თეა ძიმისტარაშვილს.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

თეა ძიმისტარაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის საგანგებოდ უფლებამოსილი წევრი

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №7

ქ.თბილისი 22 ოქტომბერი, 2020 წელი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე რეგლამენტის მე-19 და 23-ე მუხლების შესაბამისად საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, მერაბ ლომიძისათვის საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის სამწლიანი ვადის გასვლის გამო უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, 2020 წლის 8 აპრილიდან.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

**თეა ძიმისტარაშვილი**

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის საგანგებოდ უფლებამოსილი წევრი

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
# ადმინისტრაციული კომიტეტი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №8

ქ.თბილისი 22 ოქტომბერი, 2020 წელი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-8, 23-ე, $26^6$ მუხლებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მოწვეულ იქნეს საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენცია 2020 წლის 30 ოქტომბერს (რეგისტრაცია 11:00 საათზე, კონფერენციის გახსნა 12:00 საათზე).

2. საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენციის ჩატარების ადგილად განისაზღვროს იუსტიციის უმაღლესი სკოლა (მის: ქ.თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №19).

3. დამტკიცდეს საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენციის დღის წესრიგი თანდართული სახით *(იხ. დანართი №1).*

4. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, უფლებამოსილების ფარგლებში დაევალოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური და ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

თეა ძიმისტარაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის საგანგებოდ უფლებამოსილი წევრი

დანართი №1

# საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენცია

30 ოქტომბერი, 2020 წელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა

(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №19)

2020 წელი

## დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი

11:00 - 12:00 სთ. - მოსამართლეთა რეგისტრაცია

1. 12:00 - 12:05 სთ.

კონფერენციის გახსნა

2.12:05 - 12:10 სთ.

**„საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების“ პროექტის დამტკიცების თაობაზე-** *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით).*

3.12:10 - 12:15 სთ.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება 2 (ორი) ვაკანტურ თანამდებობაზე** - *(კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის ან სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ აღნიშნული თანამდებობა, საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება საბჭოს წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება).*

4.12:15 - 12:20 სთ.

**საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის კანდიდატების დასახელება 1 (ერთ) ვაკანტურ თანამდებობაზე** -*(კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.).*

5. 12:20 - 12:30 სთ.

**ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 მოსამართლის შემადგენლობით** *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით).*

6. 12:30 – 14:00 სთ.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 (ორი) მოსამართლე წევრისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევა, I ტური** - *(ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა).*

7. 14:00 – 15:00 სთ.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 (ორი) მოსამართლე წევრისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევა - II ტური** *(საჭიროების შემთხვევაში, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები).*

8. 15:00 – 16:00 სთ.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევა, I ტური** - *(ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა).*

9. 17:00 – 18:00 სთ.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევა, II ტური** - *(საჭიროების შემთხვევაში, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები).*

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №9

ქ.თბილისი

22 ოქტომბერი, 2020 წელი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის 23-ე, 25-ე და 26-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

1. სალომე ბოლქვაძე;
2. რუსუდან ტატუაშვილი;
3. გიორგი მოდებაძე;
4. მერაბ ბულაშვილი;
5. აკაკი ღურწკაია;
6. ლიანა ბაკურაძე;
7. ლელა ჭანია;
8. თორნიკე ქოჩქიანი;
9. სალომე მემარნიშვილი;
10. ვალენტინა კიკნაძე;
11. ნინო გალუსტაშვილი;
12. თამარ წიქარიშვილი;

თეა ძიმისტარაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის საგანგებოდ უფლებამოსილი წევრი

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №10

ქ.თბილისი 22 ოქტომბერი, 2020 წელი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის 23-ე და $26^1$ მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1.დამტკიცდეს:

ა) საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშები *(იხ. დანართი №2-4)*;

ბ) ადგილზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობის ოქმების ნიმუშები *(იხ. დანართი №5-7)*;

გ) დარჩენილი ბიულეტენის (ბიულეტენების) განადგურების ოქმების ნიმუშები იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ მიიღო (მიიღეს) მონაწილეობა საარჩევნო პროცესში *(იხ. დანართი №8-10)*;

დ) გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენის აღრიცხვის და ახალი ბიულეტენის გაცემის ოქმების ნიმუშები *(იხ. დანართი №11-13)*;

ე) არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების ნიმუშები *(იხ. დანართი №14-16)*;

ვ) ხელახალი კენჭისყრის საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშები *(იხ. დანართი №17-19)*;

ზ) ადგილზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობის ოქმების ნიმუშები ხელახალი კენჭისყრის შემთხვევაში *(იხ. დანართი №20-22)*;

თ) დარჩენილი ბიულეტენის (ბიულეტენების) განადგურების ოქმების ნიმუშები იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ მიიღო (მიიღეს) მონაწილეობა საარჩევნო პროცესში ხელახალი კენჭისყრის შემთხვევაში *(იხ. დანართი №23-25)*;

ი) გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენის აღრიცხვისა და ახალი ბიულეტენის გაცემის ოქმების ნიმუშები ხელახალი კენჭისყრის შემთხვევაში *(იხ. დანართი №26-28)*;

კ) ხელახალი არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების ნიმუშები *(იხ. დანართი №29-31)*;

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

**თეა ძიმისტარაშვილი**

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის საგანგებოდ უფლებამოსილი წევრი

დანართი №2

# საარჩევნო ბიულეტენი

## საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენცია

## 30 ოქტომბერი, 2020 წელი

### საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 (ორი) მოსამართლე წევრის არჩევა

*ყურადღება!*

**შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი არაუმეტეს 2 (ორი) კანდიდატის რიგითი ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.**

1. სახელი, გვარი
2. სახელი, გვარი
3. სახელი, გვარი
4. სახელი, გვარი
5. სახელი, გვარი

რეგისტრატორის ხელმოწერა ----------------------

დანართი №3

# საარჩევნო ბიულეტენი

## საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენცია

## 30 ოქტომბერი, 2020 წელი

**საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევა**

*ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!*

**შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი არაუმეტეს 1 (ერთი) კანდიდატის რიგითი ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.**

1. სახელი, გვარი
2. სახელი, გვარი
3. სახელი, გვარი
4. სახელი, გვარი
5. სახელი, გვარი

2020 წელი

რეგისტრატორის ხელმოწერა ----------------------

დანართი №4

# საარჩევნო ბიულეტენი

## საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენცია

## 30 ოქტომბერი, 2020 წელი

### საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევა

*ყურადღება!*

**შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი კანდიდატის რიგითი ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.**

1. სახელი, გვარი
2. სახელი, გვარი
3. სახელი, გვარი
4. სახელი, გვარი
5. სახელი, გვარი

2020 წელი

რეგისტრატორის ხელმოწერა ----------------------

დანართი №5

# საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენცია

2020 წელი

## ადგილზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობის

## ოქმი №_____

30 ოქტომბერი, 2020 წელი

საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენციაზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 (ორი) წევრის არჩევნებზე რეგისტრაცია გაიარა -------------------------------- მოსამართლემ, დაიბეჭდა ------------------------------------- ბიულეტენი, რაც დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა ხელმოწერით.

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი --------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი --------------------------------

შედგენის დრო: ____საათი____ წუთი

დანართი №6

# საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენცია

## ადგილზე დაზეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობის

ოქმი №_____

30 ოქტომბერი, 2020 წელი

საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენციაზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევნებზე რეგისტრაცია გაიარა ------------------------------ მოსამართლემ, დაიბეჭდა ------ -------------------------------------------ბიულეტენი, რაც დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა ხელმოწერით.

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი -------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------------

- სახელი, გვარი

  ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------------

შედგენის დრო: ____საათი____ წუთი

დანართი №1

# საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენცია

## ადგილზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობის

ოქმი №______

30 ოქტომბერი, 2020 წელი

საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენციაზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევნებზე რეგისტრაცია გაიარა --------------------- მოსამართლემ, დაიბეჭდა -----------------------------------------------ბიულეტენი, რაც დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა ხელმოწერით.

- სახელი, გვარი

